ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №375507

ნომერი: AR176819

თარიღი : 03.09.2012

გაცემის თარიღი : 02.10.2012

გაცნობის თარიღი : 03.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მცხეთა , N 48-50 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მარუხის გმირები , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბესალომ შავგულიძე პ/ნ 01024011277
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 4 ბ. 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის
№01/402 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 03 სექტემბერს AR176819 ელექტრონული განცხადებით მომართა მოქ. აბესალომ შავგულიძემ და მოითხოვა სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მცხეთის ქ. #48–50–ში/მარუხის გმირების ქ. #8–ში თანსაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.12.11.041.026) მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის I და II ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა #ნ/401-1), რომელიც ძალაშია 2013 წლის 24 აგვისტომდე.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ტექნიკურ მაჩვენებლებში დამკვეთის მიერ წარმოდგენილი შენობის მთლიანი ფართობი არასწორად იყო დათვლილი (დაჯამებული) და არ შეესაბამებოდა შეთანხმებულ პროექტში არსებულ მთელ რიგ მაჩვენებლებს. ასევე გარკვეულ ფართებზე შეცდომით იყო მითითებული ფუნქცია (ნაცვლად საცხოვრებელი ფართისა – კომერციული და პირიქით).
განმცხადებლის მიერ ხელახლა წარმოდგენილ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრილია, ამასთან კ1, კ2, კ3 კოეფიციენტები, ასევე სხვა არქიტექტურული და ტექნიკური დეტალები და ნახაზები უცვლელია.
სამსახურის მიერ გადამოწმდა განცხადებაში აღნიშნული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და დადასტურდა მათი სისწორე. ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, 51-ე, 52-ე, 59-ე, 95-ე, 96-ე და მე-100 მუხლების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს მოქ აბესალომ შავგულიძის 2012 წლის 03 სექტემბრის #AR176819 ელექტრონული განცხადების მოთხოვნა.

2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომები სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

შენობის მთლიანი ფართობი	10554.44კვ.მ
აქედან:	
საცხოვრებელი ფართობი -	6348.33კვ.მ
კომერციული ფართი -	1153.75კვ.მ
საზაფხულო ფართი -	1365.06კვ.მ
კიბის უჯრედი -	637.3 კვ.მ
მიწისქვეშა ავტოსადგომები -	1050 კვ.მ

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას სამსახურის 2012 წლის 20 თებერვლის №01/402 ბრძანებასა და #ნ/401-1 სანებართვო მოწმობასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge